პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 46-ე წელი. № 212 (13297) | ოთხშაბათი, 8 სექტემბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს ჩვენს ნომერშია:

- მევენახეები გარაქიან რთველს მოელიან
- გულითადი შეხვედრები მოსკოვსა და ლენინგრადში
- „კომუნისტის“ მკითხველები გვწერენ

დიდი რთველის წინ!

საქართველოს მევენახეებმა მიმდინარე წელს თავდადებით იშრომეს, სანიმუშოდ მოვარეს ვენახებს და ახლა ბარაქიან რთველს მოელიან. სიღნაღის, გარდაბნის, მარნეულის რაიონებში უკვე დაიწყო საადრეო ყურძნის კრეფა. სულ მალე მთელი ძალით გაჩაღდება რთველი.

რესპუბლიკის მევენახეებმა მიმდინარე წელს გეგმით სამშობლოს უნდა მისცენ 230 ათასი ტონა ყურძენი. როგორ მოემზადნენ რთველისათვის, რას ჰპირდებიან სამშობლოს მევენახეები ამის შესახებ ქვემოთ მოგვითხრობენ მევენახეობის წამყვანი რაიონების ხელმძღვანელი ბიუროკრატები.

გ. აზაურაშვილი,
საქართველოს კპ გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი.

გურჯაანის რაიონი ძირითადად მევენახეობით არის განთქმული. აქაურ ღვინეს საერთაშორისო კონკურსებზე ბევრჯერ მიუღიათ ოქროს და ვერცხლის მედლები. ამასთან რაოდენობითაც ჩვენი ალაზანელები ყველაზე მეტ ყურძენს ამზადებენ. მომდინარე წელს გეგმით სამშობლოს უნდა მივცეთ 37.896 ტონა ყურძენი.

ჩვენმა მევენახეებმა ამინდის ჭირვეულობის მიუხედავად ვენახებს ჩინებულად მოუარეს და ახლა კარგ მოსავალს ელიან. კარდანახის, მუკუზნის და ფრანის საბჭოთა მეურნეობები, ველისციხის, ვაზისუბნის, ქ. გურჯაანის, სოფ. ბურჯანის, კაჭრეთის, არაშენდის, შაშიანის, ქანდრის და სხვა კოლმეურნეობები ყურძნის უხვ მოსავალს გვიპირდებიან. ამ წელს გურჯაანელები 40 ათას ტონაზე მეტ ყურძენს მიჰყიდიან სახელმწიფოს.

რთველისათვის მზადება კარგახანია დამთავრდა. ღვინის პირველადი გადამუშავების ქარხნებში ყველაფერი წესრიგშია. საკმაო რაოდენობით მომარაგებული გვაქვს ტარა, ყურძნის საწურავი მანქანები მზად არის. საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში დაკომპლექტებულია მკრეფავთა ბრიგადები და რგოლები.

ყურძნის შესასყიდი ფასების გადიდებამ რაიონის მევენახეებში აღფრთოვანება გამოიწვია. ჩვენი რაიონის მევენახეებმა გადაწყვიტეს საკარმიდამო ვენახებიდან 12.000 ტონაზე მეტი ყურძენი მიჰყიდონ სახელმწიფოს.

მ. სამხარაძე,
მშრომელთა დეპუტატების ზესტაფონის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ზესტაფონის რაიონის მევენახეებმა წელს გეგმით 17.100 ტონა ყურძენი უნდა დაამზადონ. წინასწარი მონაცემების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გეგმა გადაჭარბებით შესრულდება.

ყურძნის უზვ მოსავალს გვპირდებიან კვალითის, ფუთის, ალავერდის, პირველი და მეორე სვირის, დილეკაურის კოლმეურნეობები. ისინი გეგმას გადაჭარბებით შეასრულებენ.

არგვეთის, კვალითის, ძირულის, პირველი და მეორე სვირის, საზანოს, ვაკეგის პირველი გადამუშავების ქარხნები მზად არიან ყურძნის მიღებისათვის.

კარგი ინიციატივა გამოიჩინეს კვალითელმა მევენახეებმა. სოფლის ყრილობაზე მათ ერთხმად გადაწყვიტეს და რაიონის მევენახეებს მოუწოდეს საკარმიდამო ნაკვეთიდან ყურძნის გარკვეული ნაწილი სახელმწიფოს მიჰყიდონ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადწყვეტილების საფუძველზე ყურძნის შესასყიდი ფასების მომატებამ კვალითელ მშრომელებში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. მათ იკისრეს საკარმიდამო ნაკვეთიდან თვითეულმა 2-4 ტონა ყურძენი მიჰყიდოს სახელმწიფოს. ამ ინიციატივას რაიონის ყველა მევენახე მოწონებით შეხვდა.

გ. ზაუტაშვილი,
საქართველოს კპ უვარლის რაიკომის პირველი მდივანი.

რთველი მევენახისათვის სიხარულის მომნიჭებელი პერიოდია. რთველისათვის მზადება მთელ წელიწადს მიმდინარეობს. უვარლელ მევენახეთა წლევანდელი რთველი გულუხვი იქნება. ჩვენ ნაცვლად 13.590 ტონისა სახელმწიფოს მივყიდით 16 ათას ტონაზე მეტ ყურძენს.

უვარლის, ენისელის, შილდის, „ქინძმარაულის“ ღვინის ქარხნები სანიმუშოდ მოემზადნენ მომდინარე წლის ყურძნის უხვი მოსავლის შეუფერხებლად და უდანაკარგოდ გადამუშავებისათვის, უვარლის ღვინის დასაძველებელი მიწისქვეშა მარანიც მზად არის.

ყურძნის უხვი მოსავალი მოიყვანეს შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეებმა. ისინი ნაცვლად 900 ტონისა 1.300 ტონა ყურძენს მიჰყიდიან სახელმწიფოს, ჭიაანელები ნაცვლად 700 ტონისა 1.300 ტონას, უვარლის საბჭოთა მეურნეობა ნაცვლად 1.400 ტონისა 1.700 ტონას. კარგ მოსავალს ელიან აგრეთვე გავაზის, ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობები და სხვა.

საყვედური უნდა ვუთხრათ საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტროს მუშაკებს, ვინაიდან რთველის პერიოდისათვის ავტომანქანები არ გვყოფნის, დახმარება კი ამ მხრივ ჯერ არა ჩანს.

საქართველო — უკრაინა

გერმადელები ბოლნისში

ბოლნისი. (საკ. კორ.). გუშინ ბოლნისს ეწვია უკრაინის სსრ ვინიცის ოლქის ბერშადის რაიონის მშრომელთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს პარტიის ბერშადის რაიკომის პირველი მდივანი **ვ. კოჩური.**

დელეგაციის შემადგენლობაშია სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სოფელ შლიახოვის 22-ე პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ვ. კავუნი.**

დელეგაციის წევრები პირველ დღესვე ესტუმრნენ ბოლნისის რაიონის სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობას, რომელთანაც მესამე წელია შლიახოველები ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში. ფახრალოს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ბ. მახმუდოვმა** სტუმრებს გააცნო მოწინავე კოლმეურნეები, ესაუბრა კოლმეურნეობის წარმატებებზე, სტუმრებმა დაათვალიერეს საკოლმეურნეო მინდვრები და მეცხოველეობის ფერმები. მასპინძლებმა სიხარულით შეატყობინეს, რომ მათი უკრაინელი კოლეგები წარმატებით ართმევენ თავს პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში.

დღის ბოლოს სტუმრებმა და მასპინძლებმა განიხილეს სოციალისტიკბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა.

სტუმრების ჩამოსვლის აღსანიშნავად რაიონის ცენტრში მოეწყო სტენდი, რომელზეც თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი საქართველოსა და უკრაინის კოლმეურნეობების სამეურნეო მაჩვენებლები.

უკრაინელი სტუმრები ბოლნისში რამდენიმე დღეს დარჩებიან და გაეცნობიან რაიონის სხვა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობას. მათ გათვალისწინებული აქვთ დანერგონ საქართველოს კოლმეურნეთა გამოცდილება. თავიანთ მხრივ საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ ბოლნისელ კოლეგებს.

უკრაინელი სტუმრები ეწვევიან ქ. თბილისს და გაეცნობიან მის ღირსშესანიშნაობებს.

ზ. მერკვილაძე.

მინდვრებსა და კლანტაციებში

ყურძენს კრეფენ ალგეთელები

მარნეულის რაიონის ალგეთის საბჭოთა მეურნეობას 170 ჰექტარი ვენახი აქვს. წელს ალგეთელებმა ვენახს ჩინებულად მოუარეს — ვაზი თავის დროზე გასხლეს, შეკეთლეს, შაბიანნის ხსნარი აგრონომიების დაცვით შეასუფთეს. ენერგიულმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. ახლა ვაზები დახუნძლულია მწიფე ყურძნის მტევნებით.

ალგეთელთა ვენახში ერთი კვირაა დაიწყო რთველი. იკრიფება „თავრიზული“ და „ზასლას“ ჯიშის ყურძენი. ჰექტარზე 100-110 ცენტნერ ყურძენს იღებენ. პირველი აგროგანყოფილების მეხუთე ბრიგადის (ბრიგადირი შ. ავსაჯანიშვილი) ვენახები ყველაზე უხვმოსავლიანია. აქ ყურძენი უკვე მოკრიფეს 23 ჰექტარზე. სამუალოდ ჰექტარზე მიიღეს 130 ცენტნერი, ხოლო ზოგ ნაკვეთში ჰექტარზე 200 ცენტნერს იღებენ.

ალგეთელი მევენახეები ყურძენს უგზავნიან თბილისის, რუსთავის, წყალტუბოს და ბათუმის მშრომელებს.



გეგმის გადამეტებით

— **ჩოხატაურის** რაიონის მშრომელებმა 3 სექტემბრისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის 9 თვის გეგმა, — დეკემბერი გვატყობინებენ პარტიის ჩოხატაურის რაიკომის მდივანი **ჩხიკვაძე,** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ბამალაძე** და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი **დოლიძე.** ჩოხატაურელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 5.727 ცენტნერი რძე ნაცვლად 9 თვის გეგმით გათვალისწინებული 5.700 ცენტნერისა, ანუ გეგმის 100,4 პროცენტი.

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 6 სექტემბრისათვის შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა. დამზადებულია 607 ცენტნერი აბრეშუმის პარკი ნაცვლად 594 ცენტნერისა, ანუ გეგმა შესრულებულია 111,5 პროცენტით. აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება. ამ წარმატებათა შესახებ გვატყობინებენ პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი **გ. აზაურაშვილი,** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **რ. ნასარიძე.**

ოკამის ზვრებში

კასპის რაიონის ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ათას ჰექტარზეა ვენახი გაშენებული. წელს მეურნეობაში მევენახეები ჰექტარზე საშუალოდ 60 ცენტნერ ყურძენს მოელიან.

• • •

სურათზე: მეექვსე აგროგანყოფილების მმართველი ნიკოლოზ ცალქალამანიძე და კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი გურამ ხუციშვილი ამოწმებენ ყურძნის სიმწიფეს.

ფოტო **შ. ჩხეტიანისა.**

ბოლო თამბაქო

წელს მარნეულის რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 4.275 ტონა თამბაქოს ნედლეული. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეთამბაქეებმა კარგად იშრომეს და თამბაქოს დიდი მოსავალი მოიყვანეს. ახლა ჩქარი ტემპით წარმოებს მოსავლის აღება და გაშრობა.

მთელმა რიგმა საბჭოთა მეურნეობებმა უკვე დაიწყეს სახელმწიფოსათვის თამბაქოს მიყიდვა. ამ საქმეს თამბაქოს მიმღები პუნქტები მომზადებული შეხვდნენ. პირველ დღეებში მიღებულია 9,7 ტონა მაღალხარისხოვანი თამბაქო.

შაუმიანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ ჩაბარა 8 ტონა თამბაქო. დაწინაურდა მეორე ბრიგადა (ბრიგადირი **ა. გრიგორიანი**), რომელმაც ჩაბარა 3 ტონა, ხოლო მეექვსე ბრიგადამ (ბრიგადირი **ლ. ჩატინიანი**) — 5 ტონა. თამბაქოს ჩაბარება დაიწყო ალგეთის მერძეველობა-მეგბოსტნეობის საბჭოთა მეურნეობამ. პირველმა ბრიგადამ (ბრიგადირი **ე. გაჯიევი**) პირველ დღეს 1.712 კილოგრამი თამბაქო ჩააბარა.

ამ დღეებში მასობრივად დაიწყება თამბაქოს ჩაბარება. რაიონის მშრომელები წელს სახელმწიფოს დიდი რაოდენობით მძაყიდიან თამბაქოს ნედლეულს.

(„კომ“. კორ.).

სადილი კრემლში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ 6 სექტემბერს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გაართეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის პატივსაცემად. დელეგაციას მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. ნოვოტნი.

სადილზე ა. ნოვოტნისთან ერთად იყვნენ მასთან ჩამოსული ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის მოსკოვის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ტ. მაზუროვი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, პ. ნ. დემიჩევი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. ანდროპოვი, ა. პ. რუდაკოვი და სხვა ოფიციალური პირები. (საკდესი).

მეგობრული ვიზიტები

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. ნოვოტნი, 6 სექტემბერს ეწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს.

ვიზიტის დროს გაიმართა საუბარი, რომელმაც ძმური, გულითადი ვითარებაში ჩაიარა.

იმავე დღეს ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიკოიანს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს. (საკდესი).

მეგობრობა, გულითადობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა მოლაპარაკება ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციასთან

7 სექტემბერს კრემლში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა მოლაპარაკება ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციასთან.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ი. მიკოიანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი და სხვები.

ჩეხოსლოვაკიის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. ნოვოტნი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ი. ლენარტი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. გენდრიხი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ო. შმიუნეკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. საბოლჩიკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. კოუტეკი და სხვები.

მოლაპარაკების დროს, რომელიც ძმური მეგობრობის, გულითადობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, განიხილეს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები, აგრეთვე გაცვლეს აზრთა ურთიერთგაზიარება თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკისა და მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის აქტუალურ პრობლემებზე. ყველა განხილულ საკითხზე გამოვლინდა აზრთა სრული ერთიანობა.

მოლაპარაკება გაგრძელდება. (საკდესი).

საუზმე ჩეხოსლოვაკიის საელჩოში

7 სექტემბერს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ საუზმე გამართა ჩეხოსლოვაკიის მოსკოვის საელჩოში.

საუზმეზე იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. თ. უსტინოვი და სხვა ოფიციალური პირები.

ა. ნოვოტნისთან ერთად საუზმეზე იყვნენ ჩეხოსლოვაკიის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის წევრები.

საუზმის დროს, რომელმაც ძმურ, გულითად ვითარებაში ჩაიარა, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ი. ლენარტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა წარმოთქვეს გულთბილი, მეგობრული სადღეგრძელოები. (საკდესი).

რუმინელი სტუმრები ლენინგრადში

ლენინგრადი, 7 სექტემბერი. (საკდესი). გნილი ქალაქის ლენინგრადის ტუბერკულოზის ინსტიტუტში ეწვივნენ რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს ნიკოლაე ჩაუშესკუ. ეწვივნენ ლენინგრადის ინსტიტუტის კოლეგიუმი, ინსტიტუტის კომუნისტური პარტიის (ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ნიკოლაე ჩაუშესკუ. ეწვივნენ ლენინგრადის თვითმფრინავთა ჩამოსული სტუმრების შესახვედრად აეროპორტში შეიკრიბნენ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მშრომელთა წარმომადგენლები. საღამოს მოედანზე ჩამწკრივდა სპეციალური ყარაული.

ჩეხოსლოვაკიის საელჩოში

ეკონომიკური ბიბლიოთეკა

ევიდღლედი — ვადამდე

ევიდღლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა ვადაზე ადრე შესრულებისათვის რომ იბრძვის, თბილისის „ოდ-კამეოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივმა რვა თვის საწარმოო გეგმა, ყველა სახის მიხედვით, გადაჭარბებით შეასრულა და მოამზადა დამატებით 101.800 მანეთის პროდუქცია გაუგზავნა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 4.800 მეტრი ქსოვილი, 35 ტონაზე მეტი ნართი.

უკანასკნელ ხანებში კომბინატში მრავალი სახის ახალი შალისა და ნახევრად შალის ქსოვილი ან პროდუქცია აითვისეს. მათ შორის აღსანიშნავია ქალის სპალტოე, რომლისთვისაც მწარმოებლებს „ხუჭუჭა“ შეურქმევიათ. ასეთი სპალტოე ქსოვილი უკვე გამოშვებულია 500 მეტრი, ხოლო ახალი საოსტიუმის „ნაპერწკლის“ 2000 მეტრი ქსოვილი მომხმარებელმა უკვე მიიღო. ყველა ქსოვილი მომხმარებლის მოწონებას იმსახურებს და მათზე დიდ მოთხოვნილებას აყენებენ ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციები. აღსანიშნავია, რომ კომბინატის მიერ წელს რვა თვეში გამოშვებულ პროდუქციაზე რეკლამაცია არ ყოფილა.

გასულ წლებში კომბინატი ზარალით მუშაობდა. წელს მდგომარეობა ძირითადად შეიცვალა. მარტო განვლილ რვა თვეში მიღებულმა მოგებამ 258 ათას მანეთს გადააჭარბა.

კომბინატის ამ წარმატებაში სხვებთან ერთად თავიანთი შრომითი წვლილი შეაქვთ იმ მქსოველებს, მხლოდ და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას რომ იძლევიან. ასეთი მქსოველი კომბინატში მრავალია. მათ შორის აღსანიშნავი არიან: ე. სესიკელაშვილი, მ. ბინაკმა (დირექტორი დ. არველაძე, მთავარი ინჟინერი ვ. გოცირიძე) სამშენებლო ორგანიზაციებს აგვისტოს გეგმის გადამეტებით 2.500 კვადრატული მეტრი პარკეტი და 280 კუბური მეტრი ხეტყე გაუგზავნა.

მოწინავეთა რიგებში არიან თბილისის გრეხილი აეკრის, ახალდაბის საავეჯო, მარეულისის გრეხილი აეკრის ფაბრიკებისა და სამტრედიის ხე-ტყის დამამუშავებელი კომბინატის კოლექტივები.

უპატაკებენ

ქუთაისელი მეკრავეები პირველ ადგილზე

ქუთაისი. (საკ. კორ.). კიროვის სახელობის № 4 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით გადამეტებით შეასრულა რვა თვის დავალება. განსაკუთრებით მაღალხარისხოვნად იმრომეს მკერავებმა წლის მეორე კვარტალში.

ამ წარმატებებით ქუთაისელი მკერავები პირველ ადგილზე გამოვიდნენ თანამოსაქმეთა შორის გაწეულ შეჯიბრებაში და დაისაკუთრეს საქართველოს სახალხო მეურნეობის მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის სამმართველოსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ამ დღეებში მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანმა ეთ. ოორთლიშვილმა საზეიმო ვითარებაში დროშა გადასცა ფაბრიკის დირექტორს ვ. იობიძეს.

ქუთაისელმა მკერავებმა მაღალი ჯილდოს პასუხად ახალი ვალდებულებები იკისრეს.

პარლამენტართა კონფერენციაზე

ოტავა, 7 სექტემბერი. (საკდესი). დღეს კანადის დედაქალაქში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ი. ვ. პეივე. საბჭოთა პარლამენტარები მონაწილეობას მიიღებენ საპარლამენტთაშორისო კავშირის 54-ე კონფერენციაში, რომელიც ხვალ, 8 სექტემბერს გაიხსნება.

სამშობლოში გაემგზავრნენ

ირკუტსკი, 7 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ირკუტსკიდან საამშობლოში გაემგზავრა ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იყო მეგობრობის ვიზიტით.

— საბჭოთა მიწაწყალზე გატარებული ოცი დღე ბედნიერი დღეები იყო. ამ ხნის მანძილზე საბჭოთა ადამიანები ძმებივით გვეფერებოდნენ. — განაცხადა დელეგაციის მეთაურმა, ვიეტნამის დემოკრატიული რეპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ვიეტნამის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის თავმჯდომარემ ტონ კუანგ ფიეტმა.

სტუმრად მონღოლეთში

დარხანი, 7 სექტემბერი. (საკდესი). საბჭოთა დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. ი. ეორონოვის მეთაურობით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფება მილიტარისტულ ინტერვენციაზე გამარჯვების მე-20 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით. დღეს დილით საბჭოთა დელეგაცია ჩავიდა მონღოლეთის ახალი სამრეწველო რაიონის ცენტრში — ქალაქ დარხანში.

აქ საბჭოთა კავშირის დახმარებით იქმნება დიდი სამრეწველო-ენერგეტიკული კომპლექსი, შენდება ახალი სოციალისტური ქალაქი 60 ათასი მცხოვრებისათვის. მონღოლ მშრომელებს საცხოვრებელი სახლებისა და სამრეწველო ობიექტების მშენებლობაში ეხმარებიან აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა.

საბჭოთა სტუმრებმა დაათვალიერეს თბოელექტროცენტრალის მშენებლობა და ქალაქის სხვა მშენებარე საწარმოებს, ეწვივნენ სახელმწიფო მეურნეობის ერთ-ერთ მემინდვრეთა ბრიგადას, რომელიც ახლა მოსავალს იღებს.

ქალაქში საბჭოთა დელეგაციის ყოფნასთან დაკავშირებით გაიმართა დიდი მიტინგი. მიტინგზე გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური გ. ი. ეორონოვი, რომელსაც ქალაქის მცხოვრებნი გულთბილად შეხვდნენ.

მიტინგი ათენში

ათენი, 7 სექტემბერი. (საკდესი). „გაუმარჯოს კონსტიტუციას!“, „სუვერენული ხალხი არჩევნებს მოითხოვს!“, „ფაშიზმი დამარცხდება!“ — ეს ლოზუნგები გაისმოდა გუშინ საღამოს ათენის ცენტრალურ ქუჩებში და მოედნებზე. ათეულ ათასობით კაცი შეიკრიბა მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა საბერძნეთის პირველი კონსტიტუციის 122 წლისთავს. მიტინგი მოაწყო ატიკის ოლქის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კავშირმა.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოითხოვეს, რომ დროებითმა მთავრობამ დაუყოვნებლივ მოაწყოს თავისუფალი არჩევნები. მიტინგის შემდეგ ქალაქის ცენტრში გაიმართა მსვლელობა.

ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტი

პარიზი, 7 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ფრანსს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი რავალპინდიდან იუწყება, პაკისტანის სამხედრო ხელისუფალთა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პაკისტანის არმიამ მოიგერია ინდოეთის ჯარების შეტევა ლახორის გარეუბანში.

ინდოეთის ჯარების შეტევა, რომელიც ვითარდებოდა სამ მიმართულებით ჯასარის, ვაგაჰისა და ბეღიანის რაიონში, განაცხადა მან შემდეგ, შეჩერებულია, პაკისტანის ჯარები „საკმაოდ უწესივენ კონტროლს მდგომარეობაზე“.

ლონდონი, 7 სექტემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ყარაჩელი კორესპონდენტი იუწყება, რომ პაკისტანში გამოაცხადეს ყველა რეზერვისტისა და ზოგიერთი კატეგორიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურეების არმიაში გაწვევა. ყარაჩიში, ლახორსა და რავალპინდიში შემოღებულია დაბნელება.

ᲙᲐᲠᲗᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ — ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ

ᲩᲝᲜᲘ რაიონის მშრომელები დიდი ენერგიით მუშაობენ სკკ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. ახლა შექმნილია ყველა პირობა ადამიანთა შემოქმედებითი ინიციატივის გამოსავლინებლად, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა დარგის რენტაბელობის ასამაღლებლად.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა დაწვრილებით გაეცნეთს ანალიზი გასული წლის შედეგებს. ამ ანალიზმა გვიჩვენა, რომ შარმან არ დარჩენილა სასოფლო-სამეურნეო წარმოების არც ერთი დარგი, რომელსაც საგრძნობი გადამეტებით არ შეესრულებინოს სახელმწიფო გეგმები. განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავეს მეჩაიეებმა. მათ 3.000 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე თითქმის 300 კილოგრამით გაზარდეს ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობა და გეგმის გადამეტებით 800 ტონა ნედლეული დაამზადეს.

ამასთანავე გამოკლინდა სერიოზული ნაკლოვანებანი ეკონომიურ მუშაობაში. ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი ყოველთვის ღრმად როდი სწავლობდა ეკონომიკის საკითხებს, არ ახორციელებდა საჭირო კონტროლს წარმოების მიმდინარეობაზე. ამის გამო საქმეები ასეთ მეურნეობებში კარგად არ მიდიოდა, რეზერვები გამოუყენებელი რჩებოდა.

რაიონის პარტიულ ორგანიზაციას კარგად ესმის, რომ მიღწეულმა შრომაში დამოკიდებულია ადამიანებზე. ამიტომ იგი ბევრ ყურადღებას უთმობს კადრების შერჩევას, განწყობილებასა და აღზრდას: იგი ცდილობს შეაყვაროს ადამიანებს თავიანთი საქმე, ჩაუნერგოს სიამაყე თავიანთი პროფესიით. უკანასკნელ ხანებში ჩვენთან გაიზარდა არც თუ ცოტა შესანიშნავი ოსტატი. რაიკომი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შედეგებით სუსტ კოლმეურნეობებს. მას სწერა, რომ ასეთ საზოგადოებრივ მეურნეობათა ეკონომიკის ამაღლება პირველ რიგში დამოკიდებულია ადამიანებზე. უკანასკნელ ხანებში ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობაში, ბევრი უნარიანი მუშაკი მოვიდა.

სოფელ მიქაკას უ. მიქაკაძის სახელობის კოლმეურნეობა წლების მანძილზე ჩამორჩებოდა. აქ არ ჩანდა კომუნისტთა ავანგარდული როლი. პარტიის რაიკომმა შეისწავლა კოლმეურნეობაში არსებული მდგომარეობა და საკითხი რაიკომის ბიუროზე განიხილა. ბიურომ კოლმეურნეობის საერთო კრებას ურჩია შეეცვალა გამგეობის თავმჯდომარე. კოლმეურნეობას სათავეში ჩაუდგა გამოცდილი მუშაკი გ. ზაქარაია. კომუნისტებმა საჭიროდ ცნეს აერჩიათ კოლმეურნეობის პარტბიუროს ახალი მდივანიც — ახალგაზრდა აკრონომი ლ. კვარაცხელია. დაისახა საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობის კონკრეტული ღონისძიებანი. არტელის ცალკეული უბნები განმტკიცდა კომუნისტებმა, რომლებმაც მუშაობაში მეტი აქტიურობა და მიზანსწრაფულობა შეიტანეს. შედეგებმაც არ დააყოვნა. პირველ თვეებშივე აღმავლობა დაიტყო წარმოების ყველა დარგს. წელს აქ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მოიკრიფა 63 ტონით მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობამ უკვე შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა და 80 ტონა ზეგეგმითი ჩაისათვის იბრძვის.

ასეთი მაგალითები სხვაც არის.

მიმდინარე წლის დაკვირვებულმა გაზაფხულმა და შემდეგ ამინდის არახელსაყრელმა პირობებმა შეაფერხეს სასოფლო -სამეურნეო სამუშაოები, დაგვიანეს მრავალწლიანი ნარგავები. მიუხედავად ამისა, ორგანიზებულად მოეწყო თესვა, ნათესების დამუშავება და სხვა ღონისძიებანი. ცხადია, ყველა ეს აუცილებელი იყო, მაგრამ მთავარი ყურადღება მაინც მიპყრობილი გვქონდა მეჩაიეობისადმი, რადგან ღრმად გვწამდა, რომ 11.350 ტონა ხარისხოვანი ჩაისათვის ბრძოლა არც თუ ისე უმნიშვნელო წვლილია რესპუბლიკის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში.

და ახლა, როცა თვალს ვაევლებთ დაძაბულ შრომაში განვლილ დღეებს, კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ძირითადი სიძნელეები უკვე გადალახულია, არამც თუ გეგმის განვანღდებთ, არამედ გეგმის გადამეტებით 1.000 ტონა ფოთოლსაც დავამზადებთ.

ამის უტყუარი საწინდარია ჩვენი მეჩაიეების დაუღალავი გარჯა, მათ მიერ დღემდე დამზადებული 11.000 ტონა „მწვანე ოქრო“.

ᲗᲐᲠᲗᲘᲣᲚ-პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის სწორად შეხამებით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევს მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო არტელებმა. საჩინოს კოლმეურნეობა „კომუნისტმა“ (თავმჯდომარე ღ. ჯანტურია, პარტბიუროს მდივანი შ. აბრალავა) 23 აგვისტოსათვის შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა, სახელმწიფოს მიჰყიდა 342,5 ტონა „მწვანე ოქრო“. საჩინოელთა ვალდებულებაა სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ 100 ტონა ჩაის ნედლეული. არტელმა ამ ვალდებულების თითქმის ნახევარი უკვე გაანღდა.

ამავამად რაიონის პირველადს პარტორგანიზაციებში მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კრებები. ამ კრებებზე კომუნისტები მოითხოვენ გადაჭრით გაუმჯობესდეს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლა, ამ ბრძოლის მიმდინარეობისადმი მუდმივი პარტიული კონტროლი. ავამაღლოთ თვითეული კომუნისტის, თვითეთეული მუშაკის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი — ამ დევიზით მიმდინარეობს კომუნისტთა გულღია, პრინციპული საუბრები.

ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლას მტკიცე კონტროლს, კონკრეტულ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევს პარტიის რაიონული კომიტეტი. რაიკომის ბიუროს სხდომებზე რეგულარულად განიხილავთ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას, ვსახავთ პრაქტიკულ ღონისძიებებს.

საჩინოს ყოფილ სახელობის კოლმეურნეობას ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლის კარგი ტრადიციები ჰქონდა, მაგრამ მაის-ივნისში ჩაის კრეფის საქმეში საგრძნობლად ჩამორჩა სხვა კოლმეურნეობებს. რაიკომის ბიუროს წევრები ადგილზე გაეცნენ საქმის მდგომარეობას. გამორკვეა, რომ ცალკეულ ბრიგადებში მოუწესრიგებელი იყო შრომა, რის შედეგადაც პლანტაციებში არ ხორციელდებოდა საჭირო აგროტექნიკური ღონისძიებები. ამ შეხვედრის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობაც. მდგომარეობის გამოსწორებისათვის მიღებულმა ქმედითმა ზომებმა საესტრელი შედეგი გამოიღო. ახლა ეს კოლმეურნეობა მოწინავეთა რიგებშია და სრული იმედია გაანაღდებს ყველა დარგში ნაკისრ ვალდებულებებს.

5 სექტემბრისათვის რაიონის ხუთმა კოლმეურნეობამ უპატაჯო სამშობლოს ჩაის ხარისხოვანი ნედლეულის დამზადების წლიური გეგმის შესრულება.

რაიონში სულ უფრო იდგამს ფეხს ჩაის მექანიზებული კრეფა. კომბაინ „საქართველოს“ რიცხვმა უკვე 44-ს მიაღწია. იქ, სადაც მექანიზებული კრეფის ყველა პირობა დაიცვეს, შედეგიც სანიხარულოა. წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობას მანქანებით უნდა მოეკრიფა 440 ტონა ნედლეული. მან ეს გეგმა უკვე შეასრულა. მანქანებით აღებული ნედლეულის ხარისხი სულ უფრო უახლოდება ხელით მოკრეფილის ხარისხს.

რაიონის პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობის ყველაზე მნიშვნელოვანი უბანია სოფლის მეურნეობაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა.

ლიის კოლმეურნეობა „თბილისის“ მოწინავე მეჩაიის სოლიკო სამუშიას მაგალითის, რომელიც მოსავლელად მიჩენილ 0.5 ჰექტარ პლანტაციაზე ყოველწლიურად 10-11 ტონა ჩაის ნედლეულს იღებს, გაკაფვა ათეულობით ახალი შოქერა. პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი კ. ციბულაშვილი) მოაწყო მეჩაიეთა სკოლა, რომელსაც სათავეში თვით ნოვატორი მეჩაიე ს. სამუშია ჩაუდგა. ახლა ამ არტელში 10-11 ტონა ჩაისათვის წარმატებით იბრძვიან ხანელი, ლონდო, ფაცია სამშიები, ციალა, ანთია, ლუცია არქანიები, გულნარა ათრასიძე, ასპირო კუხალეიშვილი და სხვები.

რაიონის მშრომელთა მტკიცე გადაწყვეტილებაა ჩაის კრეფის წლიური გეგმა შეასრულონ 11 სექტემბრისათვის და სამშობლოს დამატებით მისცენ 1.000 ტონა ნედლეული. სულ კი წელს რაიონში მოვკრეფთ 12.350 ტონა „მწვანე ოქროს“, რითაც მნიშვნელოვნად გადააჭარბებთ ჩაის კრეფის 1967 წლის დონეს, ხოლო ჩაის საშუალო მოსავლიანობას ჰექტარზე 4.000 კილოგრამამდე ავიყვანთ.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საზოგადოებრივ მეცხოველეობას. ძუძუმფიცავ ძროხებს, ძალიან ბევრ ადგილას, ბინებში ინახავენ. ეს ადვილია, ოჯახებს ეხმარებიან, ბინებიდან ადვილია ნაკელის ამოღება, ბინებიდან ადვილია ფეხმძიმე ძროხების ადვილად ამოყვანა. ეს ასეთ ადგილებში ასეთ ადგილებში ... ეს ... ეს ... ეს

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲛᲞᲐᲜᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲝᲛᲬᲝᲜᲗᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲘᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲡᲝ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲘᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲛᲔᲥᲘᲒᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲓᲔᲓᲣᲡᲢᲐᲪᲘᲘᲡ მეხუთე დღეს გამოჩნდა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების ბევრი ახალი პრეტენდენტი. 133 [illegible] ნომეროდან 40 შამპანურმა [illegible] და კონიაკმა მოაგროვეს იმდენი [illegible], რაც საკმარისია ოქროს მედლების [illegible]ლებად.

[illegible] მეღვინეთა დიდი კმაყოფილება გამოიწვია ცნობამ, რომ შოტლანდიელი ღვინო „ხვანჭკარა“ შესაძლოა [illegible] ვერცხლისა და ერთ ოქროს მედალს [illegible]ტებენ კიდევ ერთი ოქროს მედალი [illegible]ბებენ. ნომუშების განსჯვებს შორის [illegible]ებების დროს საქდესის კორესპონდენტმა სთხოვა სამტრესტის მთავარ მეღვინეს გ. ა. თუშმალიშვილს დაეხასიათებინა „ხვანჭკარის“ ღირსებანი.

— ამ ღვინოს ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ პომეროსისა და [illegible]ფონტეს თხზულებებში მოხსენიებულია „კოლხეთის თაფლივით ტკბილი [illegible]“, რომლებიც განსჯეს მამაცი [illegible]. ბერძნებმა. „ხვანჭკარას“ [illegible]ურსად ამზადებენ რიონის ხეობის [illegible]ში. საუკეთესო ნომუშებს ღებულნენ ამბროლაურის [illegible]ში სოფელ ხვანჭკარიდან მთის სამხრეთ ფერდობებზე. ტყუილად როდი [illegible]ბენ ფრანგები: „რამდენი ვენახია, იმდენი ღვინოა“. და აი „ხვანჭკარა“ უნიკალური ღვინოა, [illegible]ლსაც იღებენ ყურძნის კაშვის — „ალექსანდროულისა“ და „მუჯურეულისაგან“, რომლებსაც იწვენენ რაკის [illegible]ში. ამ ღვინოს აქვს ძლიერ განვითარებული ბუკეტი, პარმონიულია გემოთი, ბალერდოვანია, შინდისფერი ტონები [illegible]ალეს.

ორი მარკის ქართულ ღვინოებს — [illegible]ალისფერ „ცოლიკაურსა“ და საფერავს, ოდნავ მომწყანო სუფრის ღვინოს № 6 — მოგროვილი ბალებით ვერცხლის [illegible]ლის მოპოვების უფლება აქვთ.

[illegible]ებების მეხუთე დღის სენსაცია, [illegible]ლება ითქვას, იყო ყვიროსის „გუნდის“ „გამოსვლა“. წითელმა ტკბილმა [illegible]ინმ „ კომანდარე სენტ ჯემმ“ და „კომანდარიამ“ დაიმსახურეს ქულების [illegible]ლური რაოდენობა — შესაბამისად 19,06 და 19,04. მაგრამ არ შეიძლება [illegible]ოველოს ისინი აბსოლუტურ ჩემპიონებად კონკურსის ყველა დღის მანძილზე. პირველობას კვლავ ინარჩუნებს სტაროროლის მუსკატი „დრუტა“, რომელმაც 19,08 ქულა მოაგროვა. კონიაკებში [illegible]ლების მაქსიმალური რაოდენობა დაიმსახურა ქართულმა კონიაკმა „თბილისმა“, მას მოჰყვება კვიპროსული „ფაიე [illegible]“ და მოლდავური „ბუხუტრია“.

[illegible]ებების მეხუთე დღის ოქროს პრიზორთა სიაშია ფირმა ფრატელი ბოლა [illegible] იტალიური წითელი მშრალი ღვინო „ვალნოლისელა“, ფირმა „მონიპექლის“ უნგრული ვარდისფერი მოტკბო ღვინო „ჩემეიბორ ჩემეკასი“, არგენტინური „კაბერნა კარკასონე“, გერმანული „ვალიზე-27“, ფრანგული შამპანური „გერეიმან ბრიუტი“, მაროკოული „ბასერო“.

[illegible] საბჭოთა სასმელებში, რომლებსაც ოქროს მედლის მოპოვების შანსები აქვთ, არის რუსული ღვინო „ჩორნიე გლაზა“, უკრაინული „ლივადია“, მოლდაკური მადერა „ლუჩაფერი“, სომხური „ალგეშატი“, ტაჯიკური „ჯაუსი“, თურქმენული „ულეიი“.

გუშინ, 7 სექტემბერს, კონკურსზე ჩვეულებრივი მუშაობა მიმდინარეობდა. დაგა გამოიწერა № 297 ნომუშმა. ჟიურის თავმჯდომარემ, პროფესორმა მ. ა. გერასიმოვმა განსჯა იგი და აღნიშნა, რომ მასში ბევრია აქროლადი მჟავები. საჭიროა გახდა ყინვი ეყარათ, რათა გამოეკვლიათ ამ წითელი მშრალი ღვინის ბედი: მოეხსნათ იგი შეჯიბრებიდან თუ მოეხდინათ მისი დეგუსტაცია. მეტმა წილმა დეგუსტატორებმა გამოთქვეს აზრი, რომ „აქროლადი მჟავები ნორმის ფარგლებშია“.

და კვლავ გრძელდება დეგუსტაცია. ტაბლოზე ზედიზედ ინთება სულ ახალი და ახალი ნომუშების ნომრები. მშრალ ღვინოებს ცვლის მოტკბო, შამპანურს — კონიაკები.

დღის დეგუსტაციის დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ იტალიის ფირმის „ეკსპორტ ვინის“ მთავარ ადმინისტრატორს ჯუზეპე ვალენტინოს. მან თქვა, რომ უცხოეთის ფირმები დიდ ინტერესს იჩენენ ღვინოების განუწყვეტელი შამპანიზაციის საბჭოთა მეთოდისადმი. მოლაპარაკება სრულიად საკავშირო გაერთიანება „ლიცენზიაჭრობის“ წარმომადგენლთან შ. ბ. კორაბლიოვთან ამ მეთოდის ლიცენზიის შესყიდვის შესაძლებლობათა შესახებ ერთ-ერთმა პირველმა ჩვენმა თანამოსაუბრემ დაიწყო.

მხოლოდ გუშინ ჩაება დეგუსტაციაში მაროკოს კომერციისა და ექსპორტის სახელმწიფო სამმართველოს წარმომადგენელი ჰალუი აბდელალი.

— მე ალმოვაჩინე, განაცხადა მან. — რომ თურმე თბილისი არაჩვეულებრივად ჰგავს ჩემს მშობლიურ ქალაქ ფუჭს. და ამიტომ მაშინვე ვიგრძენი თავი როგორც შინ. პირველი შთაბეჭდილებანი? ეს შთაბეჭდილებანი მუშაობასთან არის დაკავშირებული. საეცხოოდ მოწყობილი დეგუსტაცია, ჟიურის ზუსტი მუშაობა — აი რამ მიიპყრო უწინარეს ყოვლისა ჩემი ყურადღება.

გუშინ შამპანური ღვინოების ქარხანა დაათვალიერეს ავსტრალიელმა სტუმრებმა. ავსტრიის ტრანსპორტისა და ენერგეტიკის მინისტრი პატონი პროპსტი მეუღლეთერთ და მისი თანამგზავრები დაესწრნენ დეგუსტაციას, შემდეგ დაათვალიერეს საწარმო. სტუმრებმა აღფრთოვანება გამოთქვეს თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნის წარმოების მაღალი კულტურისა და ტექნიკური აღჭურვილობის გამო. (საქდესი).

ᲣᲧᲣᲠᲔᲓᲜᲘ, შამპანური ღვინოებისა და კონიაკების თბილისის საერთაშორისო კონკურსი დღითიდღე ავლინებს ახალ „ლაურეატებს“.

კონკურსში დაგვიანებით შეიტანეს საზღვარგარეთული ღვინოებისა და კონიაკების ახალი ნიმუშები. კვლავ ახალი განცდები, დეგუსტატორთა დაძაბული მუშაობა. და აი ტაბლოზე რიგრიგობით ქვეყნდება მსაჯულთა „განაჩენი“. იმ სასმელებს შორის, რომლებმაც მოიპოვეს ოქროს მედლებისათვის საჭირო მაქსიმალური ქულები, მოხვდნენ სომხეთის, უკრაინის, მოლდავეთის, აგრეთვე უცხოური ქვეყნის მარკის ღვინოები და კონიაკები.

ᲖᲔᲛᲝ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ქართული კონიაკები „ენისელი“, „თბილისი“, „გრემი“ და „საიუბილეო“; **ᲥᲕᲔᲛᲝᲗ** — მოლდავური ღვინოები „ნექტარი“, „პინო“, „ბუხუტრია“ (კონიაკი) და „ხერეხი“, რომლებმაც ოქროს მედლებისათვის საჭირო ქულები მოიპოვეს.

ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ, 6 სექტემბერი. (საქდესი). 4-5 სექტემბერს აქ გაიმართა ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

როგორც დღეს გაზეთი „დრაპო რუჟი“ წერს, „ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მოხსენება გააკეთა ბელგიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ერნესტ ბიურნლმა. ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საშინაო პოლიტიკური მდგომარეობის საკითხები იმასთან დაკავშირებით, რომ ოქტომბერში გაიმართება ბელგიის კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა და დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება მიზნად ისახავს ბელგიის მუშათა კლასის ერთობას განმტკიცებას.

ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐ ᲩᲐᲘᲨᲐᲚᲐ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 7 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ი. ბერეზნიოვსკი გვატყობინებს:

არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში გაიხსნა ანტისახელმწიფო შეთქმულება. მისი ორგანიზატორები იყვნენ რეაქციული ელემენტები, პოლიტიკურ-რელიგიური ორგანიზაცია „მაჰმადიანთა ძმობის“ წევრები (ეს ორგანიზაცია დაშალეს). შეთქმულთ განზრახული ჰქონდათ სახელმწიფო გადატრიალება. რესპუბლიკის ხელმძღვანელებისა და ეგვიპტის არმიის მაღალი წოდების ოფიცერთა დახოცვა. მათი გეგმებით გათვალისწინებული იყო ავრეთვე ტერორისა და მცველობის აქტები, „ფეოქებები“ და ცეცხლის წაკიდება საწარმოებში, სახელმწიფო დაწესებულებებში, დედაქალაქის მუშათა უბნებში.

შეთქმულება ჩაიშალა ეგვიპტელი ხალხის სიფხიზლის შედეგად. შეთქმულების ორგანიზატორები დაუპატიმრეს. ხელუფლებამ ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერება. როგორც დღეანდელი გაზეთები წერენ, წინასწარი ძიებით დადგენილია, რომ შეთქმულების კვალი საზღვარგარეთ მიდის.

„მაჰმადიანთა ძმობა“, — წერს დღეს გაზეთი „ალ-ახბარი“,— ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში და ფინანსურ დახმარებასა და იარაღს საზღვარგარეთიდან იღებდა. შეთქმულნი, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ ცეცხლის წაკიდება, და ხალხის დახოცვა, „იარაღის როლს ასრულებდნენ კოლონიატორთა დანაშაულებრივ ხელში“.

ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 7 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ გაიმართა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც სასწრაფოდ მოიწვიეს ჰაშმირის მდგომარეობის განსახილველად. უშიშროების საბჭო მოწვეულია იმ მოხსენებასთან დაკავშირებით, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა წარადგინა ჰაშმირის ახლანდელი მდგომარეობის შესახებ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ უშიშროების საბჭოს რეზოლუციისათვის, რომელიც ინდოეთისა და პაკისტანის მთავრობებს მოუწოდებს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ცეცხლი, ოფიციალურად პასუხი არ გაუცია არც ერთ მთავრობას. უ ტანის მოხსენებაში ნათქვამია, რომ ჰაშმირში მყოფი სამხედრო მეთვალყურის გენერალ ნიმის ცნობის თანახმად, ჰაშმირში 5 და 6 სექტემბერს კვლავ წარმოებდა საომარი მოქმედება ცეცხლის შეწყვეტის ხაზის ორივე მხარეს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჰაშმირელი მთავარი სამხედრო მეთვალყურის ცნობებიდან ჩანს, ნათქვამია მოხსენებაში, რომ ინდოეთისა და პაკისტანის კონფლიქტი სულ უფრო ფართოვდება და ძლიერდება.

უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ ა. გოლდბერგმა (ამერიკის შეერთებული შტატები) საბჭოს სხდომის გახსნის დროს განაცხადა, რომ ახლანდელი სხდომა მოწვეულია ინდოეთისა და პაკისტანის შეიარაღებული კონფლიქტის გამწვავებასთან დაკავშირებით. გოლდბერგმა აგრეთვე თქვა, რომ უშიშროების საბჭოს წევრებთან საუბრის შემდეგ გადაწყდა გაგრძელდეს კონსულტაციები განხილულ საკითხებზე. ამასთან დაკავშირებით საბჭოს სხდომა შეწყდა საღამოს 6 საათამდე ნიუ-იორკის დროით.

ნიუ-იორკი, 7 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაზე გაგრძელდა ინდოეთისა და პაკისტანის შეიარაღებული კონფლიქტის განხილვა.

პაკისტანისა და ინდოეთის წარმომადგენლები ერთმანეთს ამარალებდნენ დამპყრობლურ განზრახვებს.

მალაიზიის წარმომადგენელმა უშიშროების საბჭოს ექვსი არამუდმივი წევრის (ბოლივიის, სპილოს ძვლის ნაპირის, იორდანიის, ურუგვაის, ნიდერლანდისა და მალაიზიის) სახელით საბჭოში შეიტანა რეზოლუციის პროექტი.

რეზოლუციის პროექტში ნათქვამია, რომ უშიშროების საბჭო დიდი შეშფოთებით აღნიშნავს საომარი მოქმედების გაფართოებას, რამაც გაამწვავა მდგომარეობა და მოუწოდებს ორივე მხარეს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ საომარი მოქმედება კონფლიქტის მთელ რაიონში და სწრაფად დაბრუნონ მთელი სამხედრო პერსონალი იმ პოზიციებზე, რომლებიც 1965 წლის 5 აგვისტომდე ეკავათ; სთხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს განახორციელოს ყველა ღონისძიება ამ რეზოლუციისა და მომდინარე წლის 4 სექტემბრის რეზოლუციის შესასრულებლად და სწრაფად და განუწყვეტლივ გააცნოს საბჭოს, თუ როგორ სრულდება ეს რეზოლუციები და რა მდგომარეობაა ამ რაიონში, ამ საკითხს განუწყვეტლივ გაუწყოს შეუნელებელი კონტროლი, რათა საბჭოს შეეძლოს იმის განსაზღვრა, თუ რა ღონისძიებები იქნება საჭირო ამ რაიონში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა, რომელმაც სინანული გამოთქვა ჰაშმირში საომარი მოქმედების განვითარებისა და გაფართოების გამო. მდგომარეობა, თქვა მან, დღითიდღე სულ უფრო სერიოზული ხდება. მთელი სერიოზულობით ვკისრულობ პასუხისმგებლობას, რომელსაც ეს რეზოლუცია მაკისრებს.

სხდომის დახურვის დროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ ა. გოლდბერგმა (ამერიკის შეერთებული შტატები) განაცხადა, რომ საბჭო მუდმივ მეთვალყურეობას გაუწევს ინდოეთისა და პაკისტანის შეიარაღებულ კონფლიქტს.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲗᲐ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲘ

ᲕᲘᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ, 7 [illegible] და საბჭოთა კინოფილმების ფესტივალი. ერთი კვირის მანძილზე ლაოსის მცხოვრებლებმა ნახეს საბჭოთა კინოხელოვნების ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა „ცოცხლები და მკვდრები“, „ოპტიმისტური ტრაგედია“, „ჯურა“, „ეზა“, „ციცერის არენაზე“ და სხვა. ყოველდღიურად ათასზე მეტი მაყურებელი იკრიბებოდა „ლასსანის“ უდიდეს კინოთეატრში. კოკისპირული წვიმის მიუხედავად ათასობით ადამიანი იდგა რიგში, რათა ენახათ საბჭოთა კინოფილმები. მხატვრულმა ფილმმა „ცოცხლებმა და მკვდრებმა“ ვიეტნამელთა უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

ᲨᲢᲠᲐᲣᲡᲘ ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲔᲡᲬᲠᲐᲤᲕᲘᲡ

ᲑᲝᲜᲝ, 6 სექტემბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის თავდაცვის ყოფილი მინისტრი შტრაუსი, რომელიც თავის დროზე იძულებული იყო გადამდგარიყო, ვინაიდან გარეული იყო მთელ რიგ პოლიტიკურ სკანდალებში, კვლავ აპირებს მინისტრის პოსტი დაიკავოს ბონის მთავრობაში.

გაზეთ „ველტ ამ ზონტაგისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, „მზად ვარ ვიკისრო მინისტრის პოსტთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა“.

პრესა იუწყება, რომ ინგლისში გამოვიდა შტრაუსის წიგნი „დიადი გეგმა“, რომელშიც იგი წერს, რომ „მზად არის“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების შემდეგ სათავეში ჩაუდგეს „საერთოგერმანულ საკითხთა“ სამინისტროს.

ეს სამინისტრო ეწევა მტრულ საქმიანობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ და ეხმარება რევანშისტულ ორგანიზაციებს, რომლებიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებენ.

ᲙᲐᲜᲐᲓᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲛᲝᲒᲔᲜ

ᲝᲢᲐᲕᲐ, 7 სექტემბერი. (საკდესი). კანადის საზოგადოებრიობის მიაჩნია, რომ ბუნდესვერისათვის ნებართვის მიცემა, კანადაში გამოსცადოს თავისი სამხედრო ტექნიკა, უპრეცედენტო დათმობაა დასავლეთგერმანელი რევანშისტებისათვის. „ერთსულოვნად ვგმობთ სამხედრო ტექნიკის ამ გამოცდას, ვინაიდან იგი აბსოლუტურად უარყოფს ყველა იმ დემოკრატიულ, ჰუმანურ და მშვიდობისმოყვარულ პრინციპებს, რომელთა დასაცავად ორ მსოფლიო ომში სიცოცხლე შესწირა ასი ათასობით კანადელმა“, — ნათქვამია ქალაქების სკარბოროსა და ისტ-იორკის (ონტარიოს პროვინცია) საზოგადოებრიობის „ომის საწინააღმდეგო კომიტეტის“ განცხადებაში, რომელიც ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნდა.

ᲚᲐᲝᲡᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

ᲕᲘᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ, 6 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ლაოსის სამეფოს ეროვნული კრების სესიაზე პრინცმა სუვანა ფუმამ გამოაცხადა ლაოსის მთავრობის ახალი შემადგენლობა, რომელშიც იგი პრემიერ-მინისტრის პოსტის გარდა შეასრულებს თავდაცვის, საგარეო საქმეთა, ომის ვეტერანთა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობას. პრემიერ-მინისტრის მოადგილეები არიან პრინცი სუფანუ-ვონგი და ინსისიენგმაი ლიმი.

ᲛᲔᲥᲘᲒᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲔᲑᲘ



ᲯᲐᲜᲣᲐ, 6 სექტემბერი. (საკდესი). 1965 წლის 3-4 სექტემბერს ამერიკის რეაქტიული თვითმფრინავების რამდენიმე ჯგუფმა, რომლებიც განლაგებული არიან 7-ე ფლოტის ავიამზიდებსა და სამხრეთ ვიეტნამისა და ტაილანდის ბაზებში, პრავალგზის დაარღვიეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცე და დაბომბეს შონ ლას, ლაი-ტიაუს, ნგე-ანისა და ჰა-ტინის, ნამ-დინის, კუანგბინის პროვინციების დასახლებული რაიონები და სამრეწველო საწარმოები, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო. იმავე დღეს ამერიკის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს ქალაქ ვინზე და ნამ-დინის კაშხალზე ნგე-ანის პროვინციაში.

ᲰᲐᲜᲝᲘ, 6 სექტემბერი. (საკდესი). ამ ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი მარიონეტების ავიაციამ მრავალგზის დაბომბა ბევრი სოფელი, სამხრეთ ვიეტნამის ცენტრალური ნაწილის ფუინენის პროვინციაში და მომწამვლელი ნივთიერებანი ჩამოაგდო იქ. იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც იმოწმებს „განთავისუფლების“ სააგენტოს ცნობებს.

ზოგიერთი სოფელი, მაგალითად ფუ-ლაკი, ვუნგ-თაუ, მი-ფუ, კან-ფუ, კან-ტინი მთლიანად გადაბუგეს. ბევრ რაიონში ამერიკის თვითმფრინავები სოფლებს აყრიდნენ 200-500 კილოგრამიან ბომბებს, აგრეთვე ნაპალმის ბომბებს.

ამ დაბომბვის შედეგად მარტო ივლისში ფუ-იენის პროვინციაში დაბომცეს 132 კაცი, ; აქედან 40 ბავშვი, 150 კაცი დაიჭრა, დაიწვა ორი ათასი სახლი, რვა სკოლა, ხუთი პაგოდა და ტაძარი.

* * *

ᲢᲣᲠᲐᲜᲘᲗ: ვინის (ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა) დამცველები საცეცხლე პოზიციაზე.

ფოტო საკდესის სპეციალური კორესპონდენტის ვ. სობოლევისა.

(„კომსომოლსკაია პრავდა“.)

ᲛᲔᲥᲘᲒᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲔᲑᲘ

ᲯᲝᲜᲘᲡᲢᲝᲜᲘ ომის თესლსა თესავს შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ. და უეცრად ომმა მის საკუთარ ქვეყანაში იფეთქა. ლოს-ანეელოსში და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ქალაქებში მომხდარი ამბები მოწმობენ, რომ ზანგების ცნობილი ბრძოლა თავიანთი განთავისუფლებისათვის, რაც 100 წელიწადზე მეტი ხნის წინათ დაიწყო, კვლავ გრძელდება. უფასურული, რომელიც თეორკანიანებსა და შავკანიანებს ჰყოფს, აღმოფხვრილი არ არის. ეს იანკების კიბოს სიმსივნეა, მთელი მათი სისტემის ჩირქიანი მუწუკია, რომელიც დამყარებულია „წმინდა სისხლის“ პრინციპზე, მეცხენეობიდან ადამიანის ეკონლუციის სფეროში რომ გადაიტანეს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დღეს გაჩაღებული ბრძოლისათვის დამახასიათებელია ის, რომ სულ უფრო მატულობს იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც მშვიდობის დასაცავად გამოდიან. ხოლო მშვიდობის დასაცავად გამოსვლა რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგ გამოსვლას ნიშნავს. სულ უფრო მეტი თეორკანიანი ამერიკელი იწყებს ბრძოლას თანასწორუფლებიანობისა და სამართლიანობისათვის. მათ გმირები უნდა ვუწოდოთ. იმიტომ რომ ამერიკელი, თუ მან გაბედა ხმა აღემაღლებინა ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთსა და ჩრდილოეთში გამეფებული ბარბაროსობის წინააღმდეგ, უთუოდ იწვევს ადამიანთა სიძულვილს.

შეხედე, მკითხველო, რუკას და სცადე იპოვნო მსოფლიოს რაიონი, სადაც შეერთებულ შტატებს ომი არ გაეჩაღებინოთ ან ომის გასაჩაღებლად არ ემზადებოდნენ. ერთ ადგილას ომის კოცონი გიზგიზებს, მეორე ადგილას — სადაც არის გაჩაღდება, მესამე ადგილას — ფიჩხს უკვე გადასხმული აქვს ბენზინი. ბედის რა ირონია! რასობრივ შეტაკებათა შედეგად ათასობით დაჭრილისა და ოცდათუთმეტი მოკლულის შესახებ იუწყება ტელეგრაფი ქალაქ ლოს-ანეელოსიდან — „ანგელოზთა ქალაქიდან“. ჯონსონის ანგელოზები სიკვდილის ანგელოზები, დანაშაულის ანგელოზები არიან. ახლთენი, ვფიქრობ, არ არიან ალბერტის პოემაში „ანგელოზთა შესახებ“. თუმცალა, მახსენდება, ერთი არის. ის, რომელიც მდის და „სახლებსა და ხეებს აწყდება. ვერ ხედავს ზუქს, ვერა გრძნობს ჭარს, ვერ ამჩნევს მინებს. მისთვის უცნობია ქალაქები... არ ახსოვს ისინი... იგი მკვდარია. მკვდარი დაეხეტება ქუჩებში“... იგი მკვდარია, ამბობს პოეტი, და იქ, სადაც გაიელის, იგი სიკვდილსა თესავს. ერთი შეხედვით ხოცავს ზანგებს.

ამერიკელებო, შეხედეთ თქვენს ძმებს ბარმემსა და უოტსში! ამერიკის ბევრ ქვეყანაში, რომლებსაც დიპლომატიური წარმომადგენლები ჰყავთ ვაშინგტონში, უკვე იცნობენ დისკრიმინაციის მოღუშულ სახეს, როცა დიპლომატის ეგზეკვატურა არაფერს აღარ ნიშნავს. ეგზეკვატურა დიპლომატებს უფლებას ანიჭებს განახორციელონ თავიანთი ფუნქციები, მაგრამ პოლიციელის ხელკეტი ამ უფლებას არ ცნობს. გვინეელ თუ გამბიელ დიპლომატს, რომელიც „თავის ფუნქციებს ახორციელებს“, ამერიკის შეერთებულ შტატებში უხდება ლინჩისა და ჯიმ კროსის სასამართლოსგან იცავდეს არა მარტო თავისი ქვეყნის ქვეშევრდომი, არამედ საკუთარ თავსაც. არ შეგშურდება ამერიკელი დიპლომატის ბედი, როცა მას თანამემამულე მიმართავს, რათა თავისი გაჭირვება გაანდოს, და თანაც სთხოვს დაიცვას რასისტებისაგან (თუ ამ ჯოჯოხეთში საერთოდ აღმოჩნდება ესოდენ გულუბრყვილო აფრიკელი). რა ქნას? ან რას იზამ აქ! არაფერი არ გიშველის, დიპლომატის იმუნიტეტიც კი.

ამას ლამაზი სიტყვისათვის კი არ ვამბობთ, არამედ იმიტომ, რომ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა შეერთებულ შტატებში. იქ, თუ შენ ზანგი ხარ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ჭკვიანი ხარ, კარგი, სულგრძელი თუ მამაცი. შენ ზანგი ხარ, თუნდაც დიპლომატი იყო!

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲚᲘᲤᲝᲠᲜᲘᲐ

დაუფიქრდით ამას, აფრიკის სალხენბო, და თქვით, შეიძლება თუ არა დაიჯერო „თავისუფალი ცხოვრება“, თუ შენ შავი კანი, სქელი ტუჩი, ხუჭუჭი თმა და ჩაშეკულტული ცხვირი გაქვს. ყოველივე ეს ხომ შეუწყნარებელი დანაშაულია „წმინდასისხლიანობა“ თვალში.

„თავისუფალი სამყარო!“ — იუწყება ვაშინგტონის პოლიციიანთა პროპაგანდა. ლიტლ-როკში კი ძალაშია თეთრკანიანი და შავკანიანი ბავშვების ცალცალკე სწავლება სკოლებში, აღვივებენ რასობრივ სიძულვილს რასისტ მშობლებს შორის.

„თავისუფალი სამყარო!“ — გაკვიეან დემაგოგები, კალიფორნიის გუბერნატორი რეგანი კი ნებართვას იძლევა თავისუფლად — ამ შემთხვევაში ეს სიშინელი სიტყვაა — მიაყიდონ რასისტებს შაშხანები, ტყვიამფრქვევები და ცეცხლსაფრქვევებიც კი, რათა მათ შეძლოთ „თავისუფლად“ ესროლონ ზანგებს. ისინი ამბობენ, „თავისუფალი სამყაროო“, მაგრამ დედამიწის არც ერთ კუთხეში არ არის ამდენი მონა, არც ერთ სხვა ქვეყანაში ასე თვალსაჩინოდ გაქვავებული არ შემორჩენილა XVII საუკუნის ზნეჩვეულებანი.

ამერიკის ხალხებო, უეურეთ და დახკენები გააკეთეთ! შეერთებული შტატების გავლენიან ხელმძღვანელებს, რომლებიც „უპირატესობის“ გრძნობით არიან დამძიმებულნი, ლათინურამერიკელები მხოლოდ ძალლების ერთ ნაირსახეობად მიაჩნიათ, ცოტა როდია სახლტუმრო, სადაც წესი „ძაღლებისათვის შესვლა აკრძალულია“ ვრცელდება იმ ადამიანებზეც, რომლებიც დაბადებულან ამერიკის კონტინენტზე. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ.

მერე რა ცოტა რამ იციან მათ ჩვენზე.!

ერთმა ამერიკელმა ქალმა, მასწავლებელმა, ერთხელ ნიუ-იორკში მკითხა, როგორ ახერხებდნენ თეორკანიანები, რომლებიც მარტის მიჰყვებოდნენ, შეშგუებოდნენ ზანგებსა და მულატებს, რომლებსაც მასეო ხელმძღვანელობდაო. მეორე გამომიტყდა, რომ ოცნებობდა ენახა ჰავანა და უკვე სთხოვა ფლორიდის გუბერნატორს კუბაზე წასვლის ნებართვა. „ქვეყნის“ ამ ნაწილში ცხოვრება ძვირი ხომ არ არისო, მეკითხებოდა იგი და ჰავანელთა ინგლისური ენა ფლორიდის მცხოვრებთა ინგლისურისაგან ხომ არ განსხვავდებაო, თუ ისინი ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობენ, ცხადია, აქცენტითო.

ამერიკელი ხალხი ცუდი ხალხი როდია. მაგრამ შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ ყველას როდი ესმის, რომ მმართველი წრეების ახლანდელი პოლიტიკა თვითმკვლელობის პოლიტიკაა, რომ ამ პოლიტიკას ამერიკის შეერთებული შტატები კრახისაკენ მიჰყავს. ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამერიკელ ხალხს სწორ ინფორმაციას არ აწვდიან იმ ამბებზე, რაც მსოფლიოში ხდება. თვითმფრინავებს ჩამოაქვთ დანომრილი, ამერიკულ ალმაში გახვეული კუბოები. და ალბათ რამდენი დედა ეკითხება თავს, რატომ დაახოცინეს მათი შვილები სამშობლოდან შორს, თუ მათ არავინ არ ესხმოდა თავს, არავინ პროვაკაციით არ იწვევდა ომს? მაგრამ გენერლებიც და პრეზიდენტიც იმისათვის არიან, რომ აუხსნან მათ: თქვენი შვილები დაიღუპნენ ვიეტნამში „თავისუფალ სამყაროს“ რომ იცავდნენო. იმას კი მიჩქმალავენ, რომ ეს „სამყარო“ მონობის სამყაროა. და ამის ცოცხალი მაგალითია ბრძოლა კალიფორნიაში, სადაც ოცდათუთმეტი ზანგი დახოცეს და მრავალი ასეული დაჭრეს. ვიეტნამი?— კვლავ იკითხავს საბრალო. თვალცრემლიანი დედა. — ვიეტნამი? იქნებ მან არც კი იცოდეს, რომ ვიეტნამამდე ათასობით მილი გზაა, და ეს გზა გაიარა მისმა შვილმა, რომ იქ ეპოვნა თავისი სიკვდილი.

ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲡ ᲒᲘᲚᲘᲔᲜᲘ,
კუბელი პოეტი.

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ, სექტემბერი.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ
ᲛᲔ-8 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ,
8 სექტემბერი, 1965 წ.

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ,

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები •

ქართული ხელოვნება ნევის ნაპირებზე

მოგვაქვს მასპინძლის მადლობა

თვენახევარია, რაც თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი თავის ხელოვნებას უჩვენებს ლენინგრადელებს. წუხელ ჩვენი კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა თეატრის დირექტორს კომპოზიტორ არჩილ ჩიმაკაძეს და სთხოვა გეგეზიარებინა გასტროლებით მიღებული შთაბეჭდილებანი.

— ჩვენი გასტროლები,—თქვა არჩილ ჩიმაკაძემ — დასასრულს უახლოვდება. დღეს უკვე შეიძლება ზოგიერთი შედეგის შეჯამება. ვინაიდან ჩვენი გასტროლების პირველი ნაწილი ფართოდ იყო გაშუქებული საქართველოს პრესაში, ახლა მოგახსენებთ. რა იყო შესანიშნავი და საგულისხმო გასტროლებიდ დამლევს.

უპირველეს ყოვლისა მინდა აღვნიშნო ოპერა „დონ ჟუანი", რომელიც ლენინგრადის ტელევიზიით იყო ტრანსლირებული. ასე რომ ამ საღამოს მრავალმილიონიანი აუდიტორია გვყავდა. სიამოვნებით უნდა ვთქვა, რომ ოპერა შესანიშნავად შესრულდა. ყველა მომღერალი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა, მაგრამ მაინც მინდა გამოვყო შოთა კოკანაძე, მთავარი როლის — დონ ჟუანის შემსრულებელი, რომელმაც ბრწყინვალედ ამღერა თავისი პარტია.

გასტროლების პირველი დღიდანვე არაჩვეულებრივი წარმატება ხვდა ჩვენი თეატრის საბალეტო წარმოდგენებს. რა თქმა უნდა, არავისთვის არ იყო მოულოდნელი ვახტანგ ჭაბუკიანის ტრიუმფი ალექსი მაჭავარიანის „ოტელოში".

მაგრამ ძნელი ასაწერია წარმატება, რომელიც წილად ხვდა ს. ცინცაძის „დემონს".

ვ. ჭაბუკიანის წარმატებამ განაპირობა ის დიდი და შეუფერებელი ინტერესი, რაც ლენინგრადელებმა საბალეტო სპექტაკლებისადმი გამოიჩინეს. ბოლო კვირა უმთავრესად ბალეტს დავუთმეთ. მიუხედავად იმისა. რომ ჩვენი ბალეტის „ლიდერი" ვახტანგ ჭაბუკიანი ავადმყოფობის გამო სპექტაკლებში მონაწილეობას არ იღებდა, მაყურებელთა ნაკლებობა არ განგვიცდია. ლენინგრადელებმა ვერა წიგნაძისა და ვახტანგ გუნაშვილის გვერდით ნახეს ნიჭიერი ლებული, საბჭოთა გროსმაისტერი ლ. საბოხთან პარტია ყაიმით დაამთავრა.

ამრიგად, ვ. სმისლოვი დაეწია ბ. ივკოვს. ახლა ტურნირს ორი ლიდერი ჰყავს. ესენი არიან ვ. სმისლოვი და ბ. ივკოვი, რომლებსაც შვიდ-შვიდი ქულა აქვთ. ე. გელერი 6,5 ქულით მესამე ადგილზეა.

ორი ლიდერი

ბავანაში ხოსე-რაულ კაპაბლანკას ხსოვნის საერთაშორისო ტურნირზე გათამაშდა 9 ტური.

მეცხრე ტური ნაყოფიერი აღმოჩნდა ჩვენი გროსმაისტერებისათვის, კერძოდ მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ვ. სმისლოვისა და ე. გელერისათვის. მათი შეხვედრები ჰოლანდიელ ი. დონნერთან და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელ ჰ. ლემანთან დიდხანს არ გაგრძელებულა. ამ ორ ოსტატს ერთმანეთი ერთ-ერთ ფიგურაზე ერთ ადგილზე ორჯერ გადაადგილებულ ცხენზე ერიდებოდა. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ორივე ოსტატ-ლიდერ ებრძოლა ერთ-ერთ ადგილზე ადგილის მოსაპოვებლად. ეს ბრძოლა ორივე ოსტატ-ლიდერ ერთ-ერთ ადგილზე ადგილის მოსაპოვებლად. ეს ბრძოლა ორივე ოსტატ-ლიდერ ერთ-ერთ ადგილზე ადგილის მოსაპოვებლად. ეს ბრძოლა ორივე ოსტატ-ლიდერ ერთ-ერთ ადგილზე ადგილის მოსაპოვებლად. ეს ბრძოლა ორივე ოსტატ-ლიდერ ერთ-ერთ ადგილზე ადგილის მოსაპოვებლ

სან-სებასტიანის ტრეკზე

ო. ფხაკაძე ნახევარ-ფინალში

ესპანეთის ქალაქ სან-სებასტიანის ტრეკზე გრძელდება მსოფლიოს პირველობის გათამაშება ველოსპორტში. ჯერ-ჯერობით შეჯიბრებაზე წარმატებით გამოდიან საბჭოთა სპორტსმენები.

სსრ კავშირის საუკეთესო ველოსმრბოლი ომარ ფხაკაძე ნახევარფინალში გავიდა სპრინტერთა ასპარეზობაში. გამართა აგრეთვე მეოთხედფინალური შეხვედრები ინდივიდუალურ რბოლაში დადევნებით ვაჟთათვის ოთხ კილომეტრზე. ტერეშენკო (სსრ კავშირი) დამარცხდა დანიელ იზაკსონთან. ძლიერად ჩაატარა რბოლა მოსკვინმა (სსრ კავშირი). მან დაამარცხა ბელგიელი სეიე და ნახევარფინალში გავიდა.

სპორტული ქრონიკა

● ომსკში მიმდინარეობს სსრ კავშირის პირველობის ნახევარფინალური ტურნირი ჭადრაკში ვაჟთათვის. გუშინ გათამაშდა მეხუთე ტური. ლიდერია ოსტატი გურგენიძე, რომელსაც 3,5 ქულა აქვს. კიეველი გუფელდი 3 ქულით მეორე ადგილზეა.

● გუშინ მოსკოვში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება სასტენდო სროლაში. მრგვალ სტენდზე სროლაში ჩემპიონი გახდა ე. პეტროვი, სატრანშეო სროლაში — ი. ნიკანდროვი. ქალთა შორის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ე. მელიქიშვილმა ადგილიდან სროლაში ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონი გახდა რსფსრ მსროლელთა კოლექტივი.

მაგჩეები და შედეგები

გუშინ შედგა რსფსრ „ბ" კლასის მეოთხე ზონის ფეხბურთელთა კოლექტივების მორიგი მატჩები.

ტყიბულის „მეშახტე" საკუთარ მოედანზე თამაშობდა კისლოვოდსკის „შრომითი რეზერვების" წინააღმდეგ. მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს და შეხვედრა ფრედ დაამთავრეს.

ბათუმში მაეკრობა ჰკრნდათ ადგილობრივ „დინამოსა" და ფოთის „კოლხიდის" გუნდებს. მატჩის შედეგია 3:2 „კოლხიდის" სასარგებლოდ.

სოხუმში დინამოელებს ზუგდიდის „ენგური" ეწვია. წარმატება სოხუმელებს ხვდათ, მათ გაიმარჯვეს 2:1.



ახალგაზრდული ანსამბლი

ამ დღეებში აზერბაიჯანიდან დაბრუნდა გურჯაანის კულტურის სახლთან არსებული ქართული ხალხური ცეკვის რაიონული ანსამბლი, რომელსაც ძ. და ა. გურგენიძეები ხელმძღვანელობენ.

ანსამბლმა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის — ზაქათალის, კახის, ნუხის, მინგეჩაურის, კიროვაბადის, თაუზის, ყახახისა და აქსტაფის რაიონების ცენტრებში და სოფლებში 25-მდე კონცერტი გამართა.

გურჯაანელთა ანსამბლმა შემოქმედებითი შეხვედრა მოაწყო ზაქათალის, ნუხის, მინგეჩაურის სახალხო თეატრების კოლექტივებთან, აგრეთვე კიროვაბადის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრის დასთან. განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა კონცერტებს კახის რაიონის სოფლებში ალაიბადში, ალიბეგლოში, ალათემუინსა და ზეგამში. წარმოდგენებს ყოველთვის მრავალი მაყურებელი ესწრებოდა. ინგილო ქართველებმა დიდი მადლობა გადაუხადეს გურჯაანელებს კარგი და ხალისიანი რეპერტუარისათვის.

მ. ციციშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.

ზეთქვამ, ბატონო

ზეთქვამ, შეაღეთ ოთახის კარი და თქვენს ცეროდენა გოგონას, ხელში მურაბის ქილა რომ უჭირავს, ეკითხეთ — რას შერეგბიო, ის კი გიპასუხებთ — მურაბის ჭამას ვატარებ ან მურაბის მოპარვას ვაწარმოებო. რას იზამდით?

პირველად, ცხადია, გაგეცინებოდათ, მაგრამ მერე სახტად დარჩებოდით, რა ჭკვიანია „ჭამას ვატარებ" ან „მოპარვას ვაწარმოებო", საიდან მოიგონა ბავშვმა ასეთი უცნაურობანი.

მაგრამ წაიკითხეთ ბევრი დოკუმენტი, გადახედეთ გაზეთებსა და ჟურნალებს, ჩართეთ რადიო და ტელევიზორი, მოუსმინეთ მომხსენებლებს და ნახეთ, თუ წარამარა არ წაიწყდეთ ასეთ გამოთქმებს: მუშაობას ატარებს, საუბრს ატარებს, ჩავატაროთ მორწყვა, ჩავატაროთ ვარჯიში და ა. შ. ნაცვლად იმისა, რომ ადამიანურად ვთქვათ: მუშაობს, საუბრობს ან ესაუბრება, მოვრწყოთ, ვივარჯიშოთ და ა. შ. ამ ბოლო დროს ზოგს ეხამუშა ეს აკვიატებული „ატარებს" და იგი შეცვალა სხვა სიტყვით — „აწარმოებს" და ასე გამოუვიდა: მუშაობას აწარმოებს (ან ეწევა), მორწყვას აწარმოებს, ვარჯიშს აწარმოებს... ბოდა, რაღა აკლია, რომ იმ ცეროდენა გოგონასავით თქვან, მურაბის ჭამას ვატარებ ან მოპარვას ვაწარმოებო?!

თითქმის ყველა მაღაზიის ვიტრინას „ამშვენებს" ამგვარი წარწერები: „აქ წარმოებს საქონლის განვადებით გაყიდვა" ან „გაყიდვაში გვაქვს საყინდიტრო ნაწარმი". აბა, რა ქართულია „წარმებს გაყიდვა" ან „გაყიდვაში გვაქვს"? განა ძნელი იყო ნამდვილი ქართულით დაგვწერა: აქ საქონელი იყიდება, ეყიდით შაქარლამაზ ანდა გვაქვს შაქარლამაზ?!

ამას წინათ ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ტრიბუნიდან ასეთ ფრაზებს ისროდა:

— დავიწყეთ ბერის მოსავლის აღება, თივის მოსავლის აღება, მოვიყვანეთ მაღალი მოსავალი...

როცა იგი ტრიბუნიდან ჩამოვიდა, ვთხოვე, მოკლედ გამიმეორეთ იმ ტექსტის შინაარსი, ასლახან რომ კითხულობდით-მეთქი. მან დაიწყო:

— შევედექით მკას, თიბვას, მოვიყვანეთ უხვი, ბარაქიანი მოსავალი...

გაოცებით შევაწყვეტინე:

— კი, მაგრამ, შე კაი კაცო, ტრიბუნიდან გეთქვა ასე!

— განა ტრიბუნიდან შეიძლება მდაბიო ენაზე ლაპარაკი! — იქიდან ხომ ოფიციალური ენით უნდა ილაპარაკო?!

მოდი და უმტკიცე ახლა ამ კაცს, რომ სწორედ ის ენა, რომელიც მდაბიო ჩგონია, მადლიანი ქართულია.

შარშან ერთმა ჩემმა ლიტერატორმა ამხანაგმა შეადგინა დადგენილების პროექტი, რომლის სათაური იყო: „თეატრის მუშაობის გაუჯობესებლის თაობაზე 1964 წლის 6 მაისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ", ხოლო შესავალში ეწერა: „დრამატულმა კოლექტივმა კარგად ითქვაა და გადაჭარბებით შეასრულა ადგილებზე წარმოდგენების გამართვის გეგმა". როცა პროექტი „გასინჯეს", სათაურში სიტყვა „თაობაზე" შეცვალეს სიტყვით „შესახებ" (გამოვიდა ერთ წინადადებაში ორი „შესახებ"), ზემოთ მოყვანილი წინადადება კი ასე „ჩაასწორეს": „დრამატულმა კოლექტივმა დიდი მუშაობა ჩაატარა და უზრუნველყო გასვლითი სპექტაკლების ჩატარების გეგმის გადაჭარბებით შესრულება". მართალია, დადგენილებებს მოთხრობისებურად, მხატვრული შედარებებით არ უნდა წერა, მაგრამ ჩვენს დროში ძველი, კანცელარიულ-ბიუროკრატიული სტილით წერაც ყოველად გაუმართლებელია.

ჩვენდა საბალალოდ, ასეთმა „სტილმა" მეცნიერებასა და სიტყვაკაზმულ მწერლობაშიც შეაღწია. ერთ-ერთი მწერლის ხელნაწერში ეწერა: „ფემის გადმოტვირთვას ატარებდნენ" (ნაცვლად სიტყვისა „გადმოტვირთავდნენ" ან „ტვირთავდნენ"); რედაქტორს „ატარებდნენ" არ მოეწონა, იგი შეეცვალა სიტყვით „აწარმოებდნენ" და რომანშიც ასე დაიბეჭდა. მოეწონთ?

ერთი საკმაოდ ცნობილი კრიტიკოსის სტატია კი ამნაირად მთავრდება: „მწერალმა დიდი მუშაობა უნდა ჩაატაროს თავისი წიგნის იდეურ-მხატვრული ხარისხის შემდგომი ამაღლების უზრუნველსაყოფად". განა მწერალს ან კრიტიკოსს ასეთი „სტილი" მიეტევება?! ანდა მეცნიერს ეპატიება, როცა რეცენზიაში წერს: „წიგნი ჩემს მიერ წაკითხულ იქნა და სათანადო შენიშვნები წერილობით დროზე იქნა მიცემული"?! თავი რომ გავანებოთ ეს წინადადებაში ორ „იქნას", რა გამოთქმაა „წიგნი ჩემს მიერ წაკითხულ იქნა"? ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი ამ წინადადებას ხომ ასე ჩამოაყალიბებდა: წიგნი წავიკითხე და შენიშვნებიც წერილობით მივეცი!

სხვათა შორის, ცალკეულ ამხანაგებს (მათ შორის, სამწუხაროდ, ზოგიერთ ენათმეცნიერსაც) ჰგონიათ, თითქოს „ჩატარებული ცდებით დადასტურებულ იქნა" (ცდებით დადასტურდა ან ცდებმა ცხადყო!), „ამის გარეშე" (უამისოდ!), „მოსახლეობას შორის" (მოსახლეობთან!), „ჩაატარგაატარა" და სხვა მისთანანი ქართულში კარგი რუსულის გაგლენით მკვიდრდებოდეს. მცდარი აზრია! სიტყვა „ტარება", მაგალითად, თავის ადგილას ჩინებულია (დროს ატარებს, წერილებს დაატარებს და ა. შ.), მაგრამ „მუშაობას ატარებს" არც რუსულშია გამართლებული.

ისიც გაუმართლებელია, როცა კახიოსური, უსეიროდ შეკოწიწებული რომელიმე საკავშირო ინფორმაციი ჩვენს გაზეთებში სიტყვასიტყვით ნათარგმნი იბეჭდება. მაგალითად, ამას წინათ ერთ-ერთ ინფორმაციაში ეწერა: ამა და ამ კაცმა მიიღო ესა და ეს ელჩი და საუბარი ჰქონდა მასთანო. რა გამოთქმაა „საუბარი ჰქონდა მასთან"?! არ აჯობებდა: მიიღო ესა და ეს ელჩი და ესაუბრა მას?!

ვფიქრობთ, ეს ზოგადი მაგალითებიც კმარა იმის დასტურად, რომ ენის სიწმინდისათვის ზრუნვის მაგივრ, ნებით თუ უნებლიეთ, ბევრი სცოდავს, ამახინჯებს და აბდუს ჩვენს მდიდარ ენას, ხოლო ენა რომ წასდეს, როგორც პოეტს უთქვამს, ერიც დაეცემა, ენა თუ არ იქნა, ხომ ერიც აღარ იქნება.

ამიტომ გვმართებს ყოველი ღონით გაკუფრთხილდეთ და მოვუაროთ ჩვენს თვითმყოფ, ძარღვიან დედაენას!

კ. რუსიძე.

გამომცემლობა „მეცნიერების" მთავარი რედაქტორი.

● ეს საყურადღებოა! ●

გავუფრთხილდეთ დედაენას

... ყოველ წელიწადს ათასობით დამსვენებელი მოდის შავი ზღვის სანაპიროს კურორტებზე. მათ იზიდავს ლაჟვარდოვანი ცა, კეთილმოწყობილი პლაჟები, დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები. დამსვენებლები სალამობით პარკებს, ბაღებს ესტუმრებიან ხოლმე.

კარგი სიურპრიზი ელის იმათ, ვინც წელს ქობულეთში ჩავა. ამ დღეებში კულტურისა და დასვენების პარკში გაჩნდა საინტერესო სიახლე — აგებულია ლამაზი აუზი, სადაც წყლის სარკესავით ზედაპირზე დაცურავენ ყარყარა შავი გედები. ამ შესანიშნავ კუთხეს დამსვენებლებმა უკვე შეარქვეს პოეტური სახელი — გედის ტბა.

სურათზე: გედის ტბა ქობულეთის კულტურისა და დასვენების პარკში.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ასე იძცევიან საბჭოთა ადამიანები

გმიროგა ჰაერში

...წარმოგდა მედესანტეთა საწვრთნელი ხტომა პარაშუტებით.

სერეგინი ჩესლავ ჩეკანავიჩესი უკანასკნელისწინა ხტებოდა: ნაბიჯი უფსკრულისაკენ, თავისუფალი ვარდნა, ზურგს უკან ჩალითიდან ამოსრიალებული აბრეშუმის გუმბათის ჩვეული ხმა. ყველაფერი ისეა, რა გორც ყოველთვის. კიდევ რამდენიმე წამი, და უხარამზარი გუმბათი მის ზემოთ ჰაერით აივსება. მაგრამ ეს რა მოხდა?.. რით აიხსნება ძლიერი და მკვეთრი ბიძგი ზემოთ?

ვარდნას რომ განაგრძობდა, ჩესლავმა უკან მიიხედა. მისი ჯერ კიდევ გაუშლელი პარაშუტის სტროპებში კაცი შეეჭირა, ის, რომელიც მის შემდეგ ხტებოდა. „ლუკბან ბისკეევი, ზემოდგი!" — გაუღაღა ფიქრმა.

ვარდნისას ჩესლავმა შეამჩნია, რომ მეთაურის პარაშუტის სტროპები რვაინიეთ შემოხასკოდა მის სტროპებს. მიწა სწრაფად ახლოვდებოდა...

მეომარი რაც ძალი და ღონე ჰქონდა ეწეოდა და ეწეოდა თავისი პარაშუტის სტროპებს, ცდილობდა გაეთავისუფლებინა ისინი. შედეგი არ ჩანდა. „მშვიდად, ნუ ჩქარობს!" — და თავი აიძულა არ აჩქარებულიყო...

მთელი ძალა მოიკრიბა და გამოჭკრა სტროპს მარჯვენა ხელი. ეროთხელ კიდევ, კიდევ... და მხსნელი პაერი შეეჭარა გუმბათში, აივსო იგი. მაგრამ იმავე წამს ზემოთ მყოფმა კაცმა თავი ვერ შეიმაგრა გაშლილი პარაშუტის სტროპებზე, დაეშვა და ჩესლავს ჩაუარა. მიწა ახლოს იყო, მეთაური სათადარიგო პარაშუტის გაშლას ვეღარ მოასწრებდა.

მეომარს წამის რაღაც ნაწილაკები დასჭირდა გადაწყვეტილების მისაღებად. საშიხელმა ტკივილმა ცეცხლივით გაკერა თითებსა და ხელისგულში. მაგრამ მან უკვე იცოდა, რომ მარჯვენა ხელს არ გაუშვებ და მეთაურის პარაშუტის სტროპებს. საღიან მოიკრიბა იმ წამს ძალა, ჩესლავმა თვითონაც არ იცის. ახლოს მზოლოდ ერთი რამ: უდიდესი დაძაბვით მარჯვენა ხელით თავის მკერდთან მიიხდა მეთაურის პარაშუტის სტროპები და თავისა პარაშუტის მკერდის თამას ჩასჭიდა თითები.

ასე დაშენენ ორივენი მოწაზე: ჯერ მეთაური, შემდეგ კი სერეგინი, რომელმაც იგი პაერში გადაარჩინა.

...ჩესლავ ჩეკანავიჩესი ოცდაორი წლისაა. იგი კომუნისტია. დაიბადა ლეტვის სსრ კოოპერატიზაციის „ეოგრეთის" თორმეტი წლისამ შვილები დაკარგა. იზრდებოდა სკოლა-ინტერნატში. „ყოველივე ამას, რაც კარგია ჩემს ცხოვრებაში — ამბობს ჩესლავი, — ადამიანებს უნდა ვუმადლოდეთ, ჩვენს სიცოცხლეს ადამიანებს, რომელთათვის კანონია წესი — „თვითონ დაიღუპე, ამხანაგი კი იხსენი!"

ჯ. რასსკევინი.
(„პრავდა", 7 სექტემბერი).

ექსპერიმენტი

რევდა. (სვერდლოვსკის ოლქი), 7 სექტემბერი. (საქდესის კორ.). ჩვიდმეტ მგზავრს, რომლებიც ცეცხლმოდებულ ავტობუსში ისხდნენ, სამშინელი საფრთხე მოელოდა. მხოლოდ მძღოლის ალექსანდრე ბაშკირცევის მამაცობამ იხსნა ისინი სამშინელი ტრაგედიისაგან.

...ეს მოხდა რევდიდან პერეოფურალსკში მიმავალ გზაზე. მძიმე თვითმცლელი, რომელმაც მოძრაობის წესები დაარღვია, შეეტაკა . რევდანის ავტომეურნეობის შოფრის ალექსანდრე ბაშკირცევის ავტობუსს. ოფითქა ცეცხლმა, მისი ალი კაბინასაც მისწვდა, ალექსანდრეს ტანსაცმელს ცეცხლი მოეკიდა. ბოლისაგან სუნთქვაშეკრულმა შოფერმა სცადა ავტობუსის კარი გაეღო, მაგრამ იგი შეტაკებისას გაჭედილიყო. მგზავრები ცეცხლის მახეში მოხვდნენ. მაშინ ალექსანდრემ ცეცხლმოდებული მანქანა სწრაფად გაიარა: იქნებ მოძრაობისას კარი გაიღოსო. რამდენიმე მეტრის შემდეგ გაიღო ავტობუსის უკანა კარი. ალექსანდრემ დაამუხრუჭა მანქანა, როცა დარწმუნდა, რომ მგზავრებს საშიშროება აღარ მოელოდათ, მხოლოდ ამის შემდეგ დასტოვა კაბინა.

ალექსანდრე ბაშკირცევს მძიმე სიდამწვრე მოუვიდა. რამდენიმე სამკურნალო დაწესებულების სპეციალისტები იბრძოდნენ მის გადასარჩენად. უკანასკნელ ხანს ა. ბაშკირცევი მოსკოვში, გეფმგოოლცის სახელობის თვალის სნეულებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კლინიკაში იყო. აქ პაციენტს მკურნალობდა ლ. ი. პოლიაკოვი. მისი აზრით, ალექსანდრემ ჯერ კიდევ დიდხანს უნდა იმკურნალოს.

სამინისტროში საკდესის კორესპონდენტს განუცხადეს, რომ ალექსანდრ ბაშკირცევი 33 წლისაა, შოფრად ითვლება რაც მუშაობს. ამჟამად ალექსანდრე კლინიკაში მკურნალობის შემდეგ მოსკოვიდან გაემგზავრა. მას მისცეს უფლება. მამაცური საქციელისათვის რუსეთის სფსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილთა მინისტრმა ფ. ვ. კალაშნიკოვმა ა. ბაშკირცევს გამოუცხადა მადლობა და დაჯილდოვა ნარწერიანი საათით.

ეკონომიკური სპეციალისტი

ავტოექსპერიმენტები ამზადებენ საჭმელს

კარტოფილის პიურე 15 წამში

ორ სუფრის კოვზ ბურღულს, რომელიც მანანის ბურღულს მგავს, თეფშზე დაყრიან და ერთ ან ერთნახევარ ჭიქა 80 გრადუსამდე გამთბარ წყალს დაასხამენ. 15-20 წამის შემდეგ დაუმატებენ რძეს, კარაქს, მოშუშულ ხახვს, და კარტოფილის პიურე მზად არის. სწრაფად შეიძლება გაკეთდეს კარტოფილის კატლეტიც.

სხვადასხვა ზომის ცელოფანის პარკებში დაფასოებულ კარტოფილის ბურღულს ნაკადურ ხაზზე დაამზადებენ ხაკონსერვო და ბოსტნეულსახმობი მრეწველობის ცენტრალურ ინსტიტუტში შემუშავებული ტექნოლოგიის მიხედვით. ამ ხაზის ოცდათოთხმეტი მანქანის ადამიანის ჩაურევლად გაწმენდს, მოხარშავს, გაახმობს კარტოფილს, გადაამცავს მას ბურღულად, დაფასოებს ტარაში.

საზღვარგარეთის ხაზებისაგან განსხვავებით, სადაც კარტოფილის ხმობის შებრუნებითს მეთოდს იყენებენ, უკრაინის სსრ ვაჭრობის სამინისტროს ხარკოვის საცდელ-საკონსტრუქტორო ბიუროში წამოაყენეს ორჯერადი, უფრო პროგრესული, მაღალხარისხოვანი წესი. ხარშვის დროს ბურღული წებოსმსგავს მასად არ იქცევა, გემოთი და მაწიერობით კი კარტოფილის პიურე ახალი ბოლქვებისაგან დამზადებულს არ ჩამოუვარდება.

— ჩვენ გავაკეთეთ ორიგინალური მანქანები, — მოგვითხრობს ბიუროს მთავარი კონსტრუქტორი ი. ელკინი, — ეს არის სადა და ადვილად გამოსაყენებელი ვალცური სახმობები, გრაანულატორები. ნაკადური ხაზის მეტი წილი მანქანები ხერიული წარმოებისაა, რაც ბევრად ამცირებს მისი მშენებლობის ხარჯს.

პირველი ხაზი ჩერნიგოვის ბოსტნეულსახმობ ქარხანაში გაიგზავნა და წელს ამუშავდება. მას მომსახურებას გაუწევენ რვა ოპერატორი ნაკადური ხაზი დღეღამეში გამოიმუშავებს ოთხ ტონა კარტოფილის ბურღულს. ეს საკმარისია საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად ქალაქში, სადაც მილიონიანი მოსახლეობაა, ბურღულზე მოთხოვნილებას წამოაყენებენ ეკოლოგები, ტურისტები და, რა თქმა უნდა, დიასახლისები.

ვარენიკები

ვარენიკი (ნინკალი) უკრაინული სამზარეულოს აუცილებელი კერძია. ის რუსეთშიც, ბელორუსიაშიც და ჩვენი ქვეყნის სხვა მხარეებშიც უყვართ. ვარენიკის დამზადების პროცესი კი ძალიან შრომატევადი და ხანგრძლივია.

— მალე ვარენიკები კონვეიერზე გაკეთდება, — ამბობს მთავარი კონსტრუქტორი. — ამ მიზანს ემსახურება ვარენიკის დამზადებისა და გაყინვის ნაკადური ხაზი, რომელიც 14 მანქანისაგან შედგება.

საექსპერიმენტო საამქროში მოქმედებს ახალი ხაზის სამრეწველო ნიმუში. მისი პირველი ათი მანქანა სხვადასხვა ფარშს ამზადებს. მანქანები თვითონ ხარშავენ და კეპავენ ხორცს, კარგი მზარეულივით უმატებენ სხვადასხვა სანელებლებს. თუ სართად საჭიროა დაამზადონ კარტოფილი მოშუშული ხახვისა და სანელებლის დამატებით, — ამასაც მანქანები თვითონ აკეთებენ.

ხაზში შემდეგ დადგმულია ოთხი მანქანა, რომლებიც დოზებად ყოფენ ფქვილს, წყალს, მარილს. ამზადებენ ცომს, პირს უკრავენ და შემდეგ ყინავენ ვარენიკებს.

პირველი ასეთი კონვეიერი წელს დამონტაჟდება. მას შეეძლება საათში გამოუშვას ხუთი-ექვსი ათასი სხვადასხვანაირი ვარენიკი. გაყინული ვარენიკი შეიძლება დიდხანს შეინახოს, ამასთან არც გემოს დაკარგავს და არც კვებითს თვისებებს.

● ეს საყურადღებოა! ●

გავუფრთხილდეთ დედაენას

ხდებ" (გამოვიდა ერთ წინადადებაში ორი „შესახებ"), ზემოთ მოყვანილი წინადადება კი ასე „ჩაასწორეს": „დრამატულმა კოლექტივმა დიდი მუშაობა ჩაატარა და უზრუნველყო გასვლითი სპექტაკლების ჩატარების გეგმის გადაჭარბებით შესრულება". მართალია, დადგენილებებს მოთხრობისებურად, მხატვრული შედარებებით არ უნდა წერა, მაგრამ ჩვენს დროში ძველი, კანცელარიულ-ბიუროკრატიული სტილით წერაც ყოველად გაუმართლებელია.

ჩვენდა საბალალოდ, ასეთმა „სტილმა" მეცნიერებასა და სიტყვაკაზმულ მწერლობაშიც შეაღწია. ერთ-ერთი მწერლის ხელნაწერში ეწერა: „ფემის გადმოტვირთვას ატარებდნენ" (ნაცვლად სიტყვისა „გადმოტვირთავდნენ" ან „ტვირთავდნენ"); რედაქტორს „ატარებდნენ" არ მოეწონა, იგი შეეცვალა სიტყვით „აწარმოებდნენ" და რომანშიც ასე დაიბეჭდა. მოეწონთ?

ერთი საკმაოდ ცნობილი კრიტიკოსის სტატია კი ამნაირად მთავრდება: „მწერალმა დიდი მუშაობა უნდა ჩაატაროს თავისი წიგნის იდეურ-მხატვრული ხარისხის შემდგომი ამაღლების უზრუნველსაყოფად". განა მწერალს ან კრიტიკოსს ასეთი „სტილი" მიეტევება?! ანდა მეცნიერს ეპატიება, რო-

● ეს საყურადღებოა! ●

გავუფრთხილდეთ დედაენას

... ...